სტამბა და რედაქცია ტფილისი, სასახლის ქ., სათ.-აზნაურო ქარვასლა.
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართავენ რედაქციის დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 და „წ. კ. საზ.“ წიგნის_მაღაზიას.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ ვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—6 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели“
Гифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363.

გაზეთი „ცნობის ფურცელი“
წლის დამლევამდე
# ღირს 2 მანათი

„ცნობის ფურცლის“
ხელის-მომწერთა საყურადღებოდ
ახლად გამოსული ისტორიული რომანი აფხაზების ცხოვრებიდან
დ. მორდოვცევისა
# ამირანის შვილნი

მთარგმნელმა, ბ-ნმა თ. სახოკიამ, შესაძლებლად დაინახა „ცნობის ფურცლის“ ხელის-მომწერთ მანეთის მაგივრად 70 კაპ. დაუთმოს. ქალაქ გარეშე მცხოვრებ ხელის-მომწერთ შეუძლიანთ გამოგზავნონ ფულის მაგივრად ფოსტის მარკები რედაქციაში ბ-ნ თ. საღოკიას სახელობაზე

ვინც 30 ცალს ერთად იყიდის, „ამირანის შვილნი“ თითო 60 კაპეიკად დაეთმობა.

ამასთანავე ვაუწყებთ პატივცემულ მკითხველთ, რომ „ამირანის შვილნი“ გასასყიდად მარტო 100 წიგნია.

---

Ресторанъ «Южные номера» обѣдъ и ужины

ახლად გამართული რესტორანი
# „იუჟნი ნომერა“
ტფილისი, ბარონის ქუჩაზე
ყოველთვის იშოვება მშვენივრად ⅌ გემოიანად გაკეთებული
სადილ-ვახშამი და საუზმე
ხორაგი ყოველთვის ახალი და სუფთაა
რესტორანთან არის მრავალი კაბინეთები და ოთახები
იქვე მშვენიერს ბაღში აუზია ცოცხალის თევზებით
ფასი ყველაფრისა იაფია
(30—27) პატივისცემით ილია აბრამიშვილი

Ресторанъ «Южные номера» обѣды и ужины, дешевизна

---

# წიგნის მაღაზია
## მიხეილ გაჩეჩილაძისა
(იგივე „გლეხის“ ამხანაგობისა)

ვაუწყებთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ ჩვენ გავხსენით
დ. ყვირილაში, ჩუბინიძის სახლში
წიგნებისა და საკანცელარიო ნივთეულობის მაღალია

მაღაზიაში გვაქვს ყოველგვარი ქართული გამოცემანი და სახელმძღვანელოები. ვკისრულობთ აგრეთვე სხვა-და-სხვა წიგნების გამოწერას. ვიღებთ წიგნებს საკომისიოდ გასაყიდათ და აგრეთვე ვაძლევთ ჩვენც ჩვენს გამოცემებს.

მაღაზიასთან გახსნილი გვაქვს წიგნების საკაზმავი სახელოსნო, სადაც მზადდება წიგნები სუფთად, იაფად და სწრაფად.

სოფლის მასწავლებლებს სახელმძღვანელო წიგნები, რვეულები და სხ. დაეთმობათ ძლიერ დაკლებულ ფასად.

მსურველს შეუძლიანს მოგვმართოს შემდეგის ადრესით:
Квирилы. Книжный магазинъ М. Гачечиладзе. (15—9)

---

შპალერების საწყობი
# ი. გ. მელიქიშვილისა
ტფილისი, სასახლის ქ. სათავ.-აზნ. სახლი № 102
ყოველთვის იშოვება მრავალი ხარისხის შპალერი
ფასი ყველაფერზე იაფია
შპალერი თვითო ნაჭერი 8 კაპ. მოყოლებული 20 მანათამდე
ოთახ-დარბაზების მოსართავი და გასწორობი სამკაულები.

Депо обоевъ
# І. Г. МЕЛИКОВА
Тифлисъ, Дворцовая ул., д. Грузинскаго Дворянства (бывш. Арцруни) № 102, около муз. магаз. ЛАНКО. (100—49)

---

ქ უ თ ა ი ს ი
ქალაქის თეატრში
შაბათს, 10 ოქტომბერს 1898 წ.
ყოვლად-სამღვდელო გაბრიელის იაფ-ფასიან წიგნთ-საცავის სასარგებლოდ
გამართული იქნება:

I

პირველი მოქმედება ოპერისა
# ნორმა

II

ორი უკანასკნელი მოქმედება ოპერის
# ტრავიატა
უმთავრეს როლებს შეასრულებენ ქ-ნი მნელამისა და ტენორი ბ-ნი
კოვალენსკი

---

# ექიმი
## კ. ი. გძელიშვილი
მ ი ი ღ ე ბ ს
ყელისა, ცხვირისა და ყურით ავადმყოფებს.
დილ. 9—11 ს. საღამოზე 5—7 ს.
მიხეილის ქუჩა, ნემენცების ეკკლესიის პირდაპირ.
Докторъ К. И. Гдзелишвили.
Михайловская, противъ кирки.
(100—45)

---

სტუდენტად ყოფილი
ეძებს გაკვეთილებს
ადრესი: „ცნ. ფურცლის“ რედაქცია. (10—6)

---

დოქტორი მედიცინისა ⅌ ქირურგი
# ბენკლევსკი
ავადმყოფებს ღებულობს დილის 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.
გრიბოედოვის ქუჩა, არშაკუნისეული სახლი № 30.

Докторъ медицины и хирургъ
# БЕНКЛЕВСКІЙ
Грибоѣдовская № 30, д. бывш Аршакуни. (Ѳ.)

---

სამკურნალო და ამბულატორია
# ს. ბ. თოფურიასი
ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11-საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ბ. თოფურია. საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს ფ. ქ. გერრატი.

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოგანი.

20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r ფ. ბაცევიჩი.

თვალების ავადმყოფობას—ი. ქ. ვარშავსკი.

ამბულატორიაში არის კაბინეტია საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და საჟისთვის.

სამკურნალო დირექტორი ს. ბ. თოფურია.

*Лѣчебница С. В. Топуріа* въ Кутаисѣ.

# ახალი ამბავი

*** **სამღვდელოების უზრუნველყოფა ხე-ტყით.** მიწა-მოქმედების სამინისტრომ ნება დართო მიეცეს სამღვდელოებას მისი საჭიროებისათვის ხე-ტყე, მაგრამ იმ პირობით, რომ ადგილობრივმა სასულიერო მთავრობამ თავის დროზე გამოაცხადოს, თუ რამდენად საჭიროებს სამღვდელოება ხე-ტყის მასალას.

*** **ქრთამის დანიშნულება.** კავკასიის ერთ გუბერნატორს, როგორც „ნ. ო.“ გაუგონია, კითხვა აღუძრავთ იმის შესახებ, რა რა საქმეს უნდა მოხმარდეს ის ფული, რომლსაც ქრთამად აძლევენ სამსახურის პირთ. სანამ კავკასიის სამზრუნველო საზოგადოებას მოსპობდნენ, ასეთი ფული ამ საზოგადოებას ეძლეოდა.

*** **საბავშვო ბაღი.** ბავშვთათვის მზრუნველი საზოგადოების გამგეობა ამ ჟამად ცდილობს დააარსოს ტფილისში საბავშვო ბაღი და აგროვებს ფულს და სხვა და სხვა შეწირულებას. ამავე მიზნისათვის გამგეობა გამართავის 4 ოქტომბერს ბაზარს გამგეობა სთხოვს ყველას, ვინც მის მიერ დაწყებულ საქმეს თანაუგრძნობს, დაეხმარონ მას სხვა და სხვა საგნების გაგზავნით ბაზრისათვის, აგრეთვე ტანისამოსის, საცვალის, ჭურჭლის და სხ. მიწოდებით.

*** **ტფილისის საგუბერნიო ექიმი** ტ. ს. ქიქოძეს მომავალ კვირის დამლევს განზრახვა აქვს წავიდეს კახეთში მის ხელ-ქვეით მყოფ დაწესებულებათა სარევიზიოდ.

*** **შემწეობა სამღვდელოებისათვის.** „კავკაზს“ ატყობინებენ, რომ უწმიდესმა სინოდმა გადასდო 60 ათასი მანეთი ყველაზე უფრო ღარიბ საეკლესიო კრებულთ შორის დასარიგებლად.

*** **გენერალის ვ. ა. პოტოს ლექციები.** გენერალი ვ. ა. პოტო წაუკითხავს ტფილისის გიმნაზიების უფროს კლასთა მოწაფეთ ეპიზოდებს სამხედრო ისტორიიდან, იმ შემთხვევის გამო, რომ 22 სექტემბერს შესრულდება 25 წელიწადი ახტის ციხის აღების დღიდან. კითხვა გაიმართება დღეს ნაშუადღევის 1-ლ საათზე, 1-ლ სავაჟო გიმნაზიის დარბაზში.

*** **მეურნეთა საყურადღებოდ.** პროფ. ლინდემანი სწერს „ნ. ო.“-ეს, რომ მოსკოვში დაარსდა ბიოლოგიური ლაბორატორია, სადაც ბავშვებს შეასწავლიან მავნებელ მწერთ და მათი მოსპობის ზომებს. ამის გამო პროფ. ლინდემანი სთხოვს ყველა მეურნეთ, გამოგვიგზავნეთ დაზიანებული მცენარეები და მავნებელი მწერები, რომლებიც თქვენს ყანებსა, ბაღებსა და ტყეებში აღმოაჩინოთო. სამაგიეროთ პროფესორი ჰპირდება მეურნეთ, ჩვენ გამოგზავნილ მწერთ გამოვიკვლევთ და ამ გამოკვლევის შედეგებს და სხვა საჭირო ცნობებს გაუწყებთო. პროფესორის ადრესია: Москва, Земледѣльческая школа на Смоленскомъ бульварѣ, Карлу Эдуардовичу Линдеману.

*** **გორის რკინის გზის ხიდის გამაგრება.** ამ ჟამად ამაგრებენ გორის რკინის გზის ხიდის ბოძებს, რომლებისთვისაც მტკვარს მოდიდების დროს ძირი გამოუთხრია. სანამ ხიდზე მუშაობა იქნება, მატარებლების მოძრაობა ზედ შეჩერდება; ხოლო რომ მიმოსვლა არ შესწყდეს, ხიდის მახლობლად ბორანი იმუშავებს. („ნ. ო.“)

*** **ჟანდარმის მოკვლის განზრახვა.** 2 ოქტომბერს ქ. გორში ოლქის სასამართლოს სესია განიხილავს თავ. გიორგი შალიკაშვილის და იკ. მამაცაშვილის საქმეს, რომელთაც ბრალდებათ ჟანდარმის სოვხუნის მოკვლის განზრახვა. ბრალდებულნი, რომელნიც ამ ჟამად ტფილისის საპყრობილეში იმყოფებიან, ამ კვირაში გაიგზავნებიან ეტაფით გორის საპყრობილეში.

*** **გორის მემამულეთა ამხანაგობის დირექტორის არჩევა.** დამდეგ თერთმეტ ოქტომბერს ქ. გორში დანიშნულია კრება გორის მემამულეთა ამხანაგობისა, კრებამ უნდა აირჩიოს გამგე დირექტორი თავ. ი. გ. მაჩაბლის სამაგიეროდ. დირექტორის ჯამაგირად აღნუსხულია 2,000 მანათი.

*** **ბ-ნი სოლოვცოვისა და თავ. ვაჩნაძის საქმე.** ქუთაისის საოლქო სასამართლომ გაამართლა ბ-ნი სოლოვცოვი, რომელსაც ბრალდება თავ. ვაჩნაძის მოკვლის განზრახვა. ამ საგანზე დაწვრილებითი ანგარიში იბეჭდება.

*** **ს. კავთისხევი** (ქართლი). **მირაბის არჩევნები.** როგორც გაზეთებშიაც უკვე გამოცხადებული იყო. 27 სექტემბერს, დანიშნულია ძეგვის სათემო მირაბის არჩევანი ს. ახალქალაქში, რომელიც კავთისხევზე ცხრა ვერსის სიშორეზეა. ძეგვის სათემო მირაბის განკარგულებაში ორი საზოგადოებაა: კავთისხევისა და ძეგვისა. აგერ ეს მეოთხე წელიწადია, რაც კავკასიის მხარეზე მირაბის თანამდებობა დაარსეს, მაგრამ ამ ოთხმა წელმა არავითარი ცვლილება არ მისცა სარწყავი წყლის რიგიანად დანაწილებას. ჩვენის აზრით, ამის მიზეზი აიხსნება იმითი, რომ ამორჩეულთა პირნი სრულიად არ იყვნენ მომზადებულნი მირაბის თანამდებობის აღსასრულებლად. მირაბის დანიშნულება ასე მიიღეს: ჩვენ დავსხდეთ შინ ბატონ-კაცურად და უბრძანოთ დაყენებულს ჯუვარებს და მორიგე კაცებსაო. რასაკვირველია, ამგვარი შინიდან ბრძანებლობა, არამც თუ მირაბის თანამდებობის ასრულების მიზანს ვერ მიაღწევს, არამედ სულ უბრალო შინაური საქმეც არ გაკეთდება. მირაბი სპარსული სიტყვაა, რომელიც ჩვენებურათ მერუესა ნიშნავს, რომელმაც რუები უნდა გააკეთოს, გაუნაწილოს ყველა თვითეულ სოფელს თავისი ხვედრი წყალი. უდარაჯოს, რიგი და წესი არ იყოს დარღვეული წყლის ხმარებისა, ღონივრისაგან უღონო არ იყოს დაჩაგრული და წყლის ძვირობის დროს, უსარგებლოდ წყალი არ მოცდეს, ვინც უწესოება ჩაიდინოს, ან წყალი მოიპაროს პასუხის-გებაში მისცეს, განკარგულება და წესები მისცეს სოფლისაგან ამორჩეულთ რუებზე მოსამსახურე პირთ და სხ. მეტადრე კავთისხევისა და ძეგვის სათემო მირაბი, ხომ ძალიან გამჭრიახი და მხნე პირი უნდა, რადგანაც ამ სოფლებში დიდი წყლის სიძვირე ჩამოვარდება ხოლმე და ხალხი ერთმანეთს სტყეპენ და აგინებენ. აქ სოფლობრივაც მოხდება ხოლმე ჩხუბი, არა ეს რუ ჩვენია და არა ჩვენიო.

ძეგვის სათემო მირაბის განკარგულების ქვეშ შემდეგი სოფლების კუთვნილი სარწყავი რუებია: ძეგვისა, ხეკორძისა, სასხორისა, ქვემო და ზემო ნიჩბისისა, გომიჯვარისა, თელადგორისა, კავთისხევისა, ქვემო ხანდაკისა და წინარეხისა. მთელი ამ სოფლების მინდორი და რუები ოცდა ხუთს ვერსზე არის გაგძელებული და მაშასადამე მირაბიც შესაფერი უნდა, რომელმაც ზედ-მიწევნით უნდა იცოდეს ახალი წესდებულება: „Новые законы о пользованіи водою въ Закавказьи“.

27 სექტემბერს არის არჩევანი, და იმედია ხალხი რიგიანად ჩაუკვირდება ამ საქმეს, მოიფიქრებს, მოზომავს და კეთილ სვინდისიან პირს ამოირჩევს, რომ არც ნათესაობას მიხედოს არც მეგობრობას, არც თავის პიროვნებას და კუთვნილებისამებრ გაუნაწილოს ყველას თავის ხვედრი სარწყავი წყალი.

ჩემის აზრით, როგორც აქაური მემამულე, უნდა ამოვირჩიოთ ისეთი პირი, რომელმაც გარდა მირაბობისა სხვა საქმეს მოშორებული იყოს და თავის სამუშაო ფასიც დაუნიშნოთ, რომ ერთხელ და სამუდამოდ დაამყაროს წეს-წყობილება ძეგვის სათემო სამირაბოში. ამ თანამდებობის შესაფერი კაცი არის ბ. იოსებ ზებედეს ძე ცხვედაძე, რომელსაც მარტივად ვიცნობთ, როგორც მხნე და გამჭრიახს კაცად, და იმედია, ერთხმივ რომ ვსთხოვოთ არ განაცხადებს უარს და იტვირთებს მირაბობის თანამდებობის აღსრულებას.

ივ. კავთელი

*** **ბათომი. სახელოსნო გამგეობის დაარსების საჭიროება.** ბათომში არ არსებობს სახელოსნო გამგეობა და ამით დიდი ზარალი აქვთ ადგილობრივ ხელოსნებს, რადგან მცოდნე და არა მცოდნე, ყველა ხელოსნობას იწყებს და გამგეობისაგან საჭირო მოწმობის უქონლობა არავის აბრკოლებს. ამ არა სასურველ გარემოების ასაშორებლად, აქ ამას წინად მოინდომეს სახელოსნო გამგეობის დაარსება და ეს საქმე მიანდვეს ბ. ა. მამალაძეს, რომელმაც ქუთაისში უკვე დააარსა ასეთი გამგეობა. ბ. მამალაძემ აღძრა შუამდგომლობა მთავრობის წინაშე ბათომში სახელოსნო გამგეობის დაარსების შესახებ, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი შუამდგომლობა მთავრობამ არ შეიწყნარა. სახელოსნო გამგეობის დაარსება კი დიდ საჭიროებას შეადგენს აქ.

ვ. კონჭკათელი

*** **ქვიშხეთი** (ქართლი) **ქალის მოტაცება.** 16 სექტემბერს, სოფ. ქვიშხეთში, ნაშუადღევის 4 საათზე, სამმა ძმამ, აზნ. ნემსაძეებმა, ხუთი შეიარაღებულ კაცის დახმარებით, ძალით მოიტაცეს ქალიშვილი თამარა ყიფიანი. მაშინვე მოტაცებულის ბიძა, კონსტანტინე ყიფიანი, დაედევნა მომტაცებელთ და საჭირო ზომების სწრაფად მიღების შემწეობით, გორის მაზრის უფროსის ი. ი. დრაჩევისა და სურამის ბოქაულის ტერაკოფოვის მეცადინეობით და ყაზახების დახმარებით მესამე დღეს ქალი დაიხსნეს და უვნებლად მიჰგვარეს დედას. ყველა ნემსაძეები, მათი დამხმარებელი ვიღაც თავზარაშვილი და მათი მსახურნი ამ ჟამად იმყოფებიან გორის სატუსაღოში. ქალის მოტაცების საქმეს კანონიერი მსვლელობა მიეცა. უმთავრესი მომტაცებელი, დავით ნემსაძე, შეიპყრო ბოქაულმა ტერაკოფოემა, დანარჩენი კი თავისი ნებით გამოეცხადნენ ადგილობრივ ბოქაულს. („კავკაზ“).

*** **ბასილეთი. სამრევლო სკოლის საქმე.** ბლაღოჩინის ნ. რამი-

შვილის წინადადებით აქაურმა მცხოვრებლებმა გადასწყვიტეს სამრევლო სკოლის დაარსება და კიდეც აირჩიეს სკოლის დასადგმელად შესაფერი ადგილი. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, რაღაც მიზეზის გამო, სკოლის შენობა ააგეს ისეთ უსუფთაო და უვარგის ადგილზე, რომელსაც ადვილად შეუძლიან მოწაფეთა დასნეულება. გვიკვირს, რად დაარღვიეს სკოლის დამაარსებელთა ორი მესამედის განაჩენი და რად გახადეს საზოგადოება უკმაყოფილო. იმედია, ამ გარემოებას ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს, ვისიც ჯერ არს.

ბასილეთელი

*** **დ. ჩხარი** (იმერეთი)-**ცეცხლის წაკიდება.** დ. ჩხარში 17 სექტემბერს, საღამოს 10 საათზე, უეცრად ცეცხლი წაეკიდა ადგილობრივი მცხოვრების საათა კაჭკაჭოვის შენობას. ადგილობრივი ბოქაულის, ტყის-მცველის თანაშემწის, ბ. ლორთქიფანიძის და მამასახლისის მეცადინეობით ცეცხლს ენერგიულად დაუწყეს ქრობა და ახლო-მახლო სახლებზე აღარ გაუშვეს. დაიწვა მარტო ბეღელი ზედ-მიდგმული ოთახით და ყველაფერი, რაც შიგ იყო. მადლობის ღირსია ყველა ის პირნი, ვინც მამაცურად შეებრძოლა ცეცხლს და მით მთელი ჩხარი დაიხსნა ამ ბუნების სტიქიონისაგან განადგურებას.

მესალმე

*** **ცხინვალი.** **თავ-მოყვარეობაც ასეთი უნდა!** ჩვენებური გლეხი რომ რამე მოხელეობას იშოვნის, ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა ქალამნათ, ისე იბერება, ისე ამპარტავნობს, რომ აქ თავისი თავი ჰგონია და სხვაგან ალარავის აღარსად. ბევრისაგან ბევრი მაგალითი შემეძლო დამესახელებინა, რომ 13 ამ თვის მომხდარი ამბავი არ მიკლავდეს გულს სოფ. წუნარში (გორის მაზრა, ცხინვალის საბოქაულო). აი თვით საქმის გარემოება: სოფელ ავნევის, როგორც გლეხები ეძახიან „პოპოშნიკს“, მოუკლავს ერთი ღორი, (მწყემსებს გამოჰპარვოდათ ნახირიდან), სადაც კაცები ამოურჩევია. ჩვენ ცნობილ „პოპოშნიკს“ ერთ დღეს ყელ გამოლადრული ალექსი კვინიკაძის (60 წლისა) და მეორეც. (სახელი არ ვიცი). ამ შუამავლებს მომკვლელისთვის სამი მანეთი გაუჩენიათ გადასახდელათ, ხოლო წანახედი, მწყემსებისთვის მიუკისრებიათ. ეს სიტყვიერი განაჩენი ჩვენს „პოპოშნიკს“ გულს ლახვრათა სცემია და ერთი ლაზათიანად დაულანძღავს და რადგან კვინიკაძეც ცოტა გულ-მოსულათ დაჰხვედრია, ისიც კარგათ გაუწკეპლია ჩვენს „პოპოშნიკს“ თავისი მომხრეებით. ამითი საქმე რომ გათავებულიყო, ვინ რას გაიგებდა. საქმე ის არის, ამ გვარი დამნაშავე საზოგადოების წინ უნდა გაეშავებინა. იმიტომ, რომ სხვებსაც შიში და რიდი ჰქონოდა ცნობილს „პოპოშნიკისა“ და ამიტომ ამოაფრატუნეს მოხუცი დამნაშავე 8 ვერსის მანძილიდან (წუნარის კანცელარიაში) და შიგ „კარცერში“ ატკუციეს თავი. სანამ ეს მოხდებოდა ბევრს ეხვეწა საბრალო მოხუცი: ჩემ დღეში სატუსაღოში არ ვყოფილვარ და არც ვიცი როგორია, ამიტომ გთხოვთ, თუ რაიმე დამნაშავე ვიყო, უმაღლეს სამსაჯულოს გადამცეთ განსამართლებლათაო. მერე და სად და ან ვისთან იხარჯებოდა ეს პატიოსანი სიტყვები, იქ, სადაც ყოვლად უპატიოსნო არყის მოხელეთ მოუყრიათ თავები და თავადაც არ იციან რასა შვრებიან. ამისთანა პატიოსან სიტყვის უჩვეულმა საპატიმროს უფროსმა ეს სიტყვები იუკადრისა და-ყელში ჯიბის დანა იკრა და სასიკვდილოთ დაიჭრა თავისი თავი. დღეს ბოქაულები და ფერშალი იყვნენ საშველათ და ჭრილობა შეუხვიეს, მაგრამ მორჩენით მორჩება თუ არა ღმერთმა იცის, რადგან სისხლითაა დაცლილი.

— **უქმე დაგვეკარგა!** სად არის ჩვენთვის კვირა, ყველას თავისი მეშვიდე დღე აქვს დადებული, როგორც ღვთის სავედრებლად, ისე დასასვენებლად. ურიას შაბათი, მაჰმადიანს პარასკევი, სხვას კიდევ სხვა და ცხინვალელმა ქართველმა, ოსმა თუ სომეხმა კი არ იციან რა არის თავიანთი საუფლო ანუ დასასვენებელი დღე. ასე გასინჯეთ, წირვის გამოსვლასაც არავინ უცდის, მთელი დღე ისე ვაჭრობენ. ამ ვაჟბატონებს რომ ლაპარაკი შეხვდეთ, ქრისტიანები ვართო მოგაძახებენ და ის კი დაჰვიწყებიათ, რომ სარწმუნოება თვინიერ საქმისა მკვდარ არსო. დროა ამასაც ყურადღება მიაქციოს ბოქაულმა და კვირა-უქმე დღეებში დუქნები სუყველას დააკეტინოს.

— **დაუსრულებელი ავადმყოფობა.** ხორველობას აქეთ წრევანდლისთანა წელიწადი სწორედ რომ არავის ახსოვს. საითაც გაიხედავ, ავადმყოფობა და სიკვდილი გესმით. ყმაწვილები ხომ თითქმის სულ გაალაგა. ყივანა ხველასთან ერთად მუცლის ფაღარათობამ და სხვა და სხვა ავადმყოფობამ უფრო გადაამეტა. პირ-საქმებამ და მუცელმა უარესი დღე დააყენა აქაურებს. ეს ავადმყოფობა ხორველისაგან იმითი განირჩევა, რომ სისხლსედ იწრიტება, რომელიც თითქმის მთასა და ბარში ერთნაირადაა მოდებული და დიდი ზარალიც მოაქვს განურჩევლად დიდისა და პატარისა. ჩვენს დაბაში ერთი ექიმია და ერთიც ფერშალი. ამათ კერძო ფერშალიც შველით და დღე და ღამე დაუღალავად ტრიალებს, მაგრამ განა შეიძლება ორისა და სამის მხნეობით ამოდენა ავადმყოფობა მოისპოს. საჭიროა სხვა მაზრებიდგან მოეშველნენ ექიმები თუ არა, ფერშლები მაინც და უშველონ ხალხს.

— **ქურდობა.** ამას წინად სოფ. ქემერტის გლეხებმა ჩამოიყვანეს აქ ორი გაბაწრული ოსი, რომელთაც ერთი ძროხა და ერთიც ხარი მოეპარნათ და დასაკლავად მიჰყავდათ, რომელნიც დაეჭირათ პატრონებს. ვინ იზამს სიკეთეს, რომ ისინი დასაჯონ.

კვირიკელა

*** **ს. ალი.** **მადლობის გამოცხადება.** უგულითადესს მადლობას ვუძღვნი მედავითნეს გიორგი ზალიკანოვს, რომელმაც შემოსწირა ს. ალის ღარიბ უფასო წიგნთ-საცავს 50 ცალი ქართული წიგნები, ღირებული 12 მ. 55 კ.

გამგე სამკითხველოსი მღ. ი. მაჭარაშვილი

## სასამართლოს მატიანე

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

(შემდეგი *)

ჩემი ცოლი და თავ. ვაჩნაძე, განაგრძო სოლოვცოვმა, დაეკავშირნენ ერთმანეთს და ამ კავშირს ყველას აშკარად უჩვენებდნენ. აბა ეხლა თქვენ გაშინჯეთ, თავ. ვაჩნაძე ჩემს ცოლზე ერთი ორად უფროსი (ცოლი იყო 21 წლისა, ვაჩნაძე 46-სა), ხუთი შვილის პატრონი, ინსტიტუტში კურს-დამთავრებულ ქალის მამა, მოიქცა ისე, რომ გარყვნა ჩემი ცოლი, დედა ჩემის ერთი წლის ვაჟისა და განა როგორ გარყვნა, საქვეყნოდ გამოააშკარავა ყველა ეს თავისი ჩემს ცოლთან საზიზღარი ქცევა და ყველა ეს დააბოლოვა იმითი, რომ ჩემმა ცოლმა ჩაიდინა ის, რომ იგი განშორდა ჩვენს ქვეყანას და თავი ამოჰყო საზღვარ-გარეთ და რისთვის?.. ჩემთვის რა იყო ჩემი ოჯახობა და კერძოდ ცოლი, ამას გაიგებთ ჩემის წერილიდან. რომელიც ჩემს ცოლს მივსწერე. მაგრამ მან ვერ მიიღო, უკან დამიბრუნდა და იგი გახსნა პოლკოვნიკმა ფეოდოროვმა. მე მივსწერე მას წერილი საზღვარგარეთ მაშინ, როცა გავიგე, სადაც სცხოვრობდა იგი.

მე ამ საქმეზე ხელმწიფის სახელზე საჩივარი მივეცი და საქმის გამოძიებასაც შეუდგნენ. ასე რომ თავ. ვაჩნაძემ ჩაშალა ჩემი ოჯახობა, ჩემს ვაჟს წაართვა მშობელი დედა, ასე დაიმორჩილა და იმსხვერპლა ახალგაზდა, ცხოვრებაში გამოუცდელი ქალი, რომელიც მე საქალებო სასწავლებლიდან, ინსტიტუტიდან, პირდაპირ მეუღლედ ავიყვანე და ამის შემდეგ ნუ თუ იგი მე არ უნდა გამსწორებოდა ამ შეურაცხყოფისათვის, რომელიც მან მე მომაყენა? იგი მე უთუოდ უნდა გამსწორებოდა ისე, როგორც ხელმწიფე იმპერატორის ბრძანებით არის განკარგულება, ესე იგი ბრძოლით ხმალში გასვლით. როცა გავიგე, რომ თავადი ვაჩნაძე მოსკოვშია, მე იგი იქიდან დეპეშით გამოვითხოვე. იმ დეპეშაში მე გარკვევით მივსწერე, რომ მე ყველაფერი ვიცი... ამაზე პასუხი მივიღე წერილით 5 მარტს 1896 წელსა. აი შინაარსი იმ წერილისა: „მოწყალეო ხელმწიფევ, ივანე ალექსანდრეს ძევ! თქვენმა დეპეშამ ძალიან გამაკვირვა და დღემდის ვერ გამიგია მიზეზი ამისთანა თქვენი ქცევისა. არ ვიცი რაზედ იწერებით, რომ „ყველაფერი ვიციო“! რომ ყველაფერი მეც კარგად გავიგო, ამისათვის ჩემთვის თქვენი ნახვა საჭიროა. ეხლა მე არა მცალიან, სამსახურის გამო ვერსად ვერ წავალ და ამისათვის თუ შეგეძლებათ თქვენ მობძანდით ჩემს სანახავად და მოსალაპარაკებლად. მუდამ თქვენი უმორჩილესი თავადი ვაჩნაძე“. ეს წერილი, როგორც ხედავთ, ჩემთვის უარესი შეურაცხყოფა და მასხარად აგდება იყო, უფრო იმისთვის, რომ მე იმ დღეებში უნდა წამეკითხა პოლიციის პროტოკოლები, რის მიზეზიც იყო თავ. ვაჩნაძე. მე ამაზე დეპეშითვე ვუპასუხე: „მე თქვენთან არაფრის ლაპარაკის და ლაყბობის სურვილი არა მაქვს, მე მხოლოდ გიწვევთ, რომ ვიბრძოლოთ დუელში“. ამაზე მისგან პასუხი მივიღე: „მე მაინც კიდევ არ მესმის თქვენი ამისთანა ქცევა. მეტი რა ჯანი მაქვს, ველი თქვენგან შუა კაცებს“. ამის შემდეგ მე მაშინვე გავსწიე მოსკოვისკენ, მივედი იქ თუ არა, სეკუნდანტათ ამოვირჩიე ჩემი კარგი ნაცნობი და ამხანაგი შტაბს-კაპიტანი არტილერიისა, ალაბეგოვი, მეორე სეკუნდანტად უნდა მყოლოდა მამაჩემი, რომელიც დღე დღეზედ უნდა მოსულიყო ბათომიდან. თავადმა ვაჩნაძემ აირჩია სეკუნდატად ორი კაცი პოლკოვნიკი თავ. თუმანიშვილი და ბ-ნი ბერშოვი, ამ ორ მხარეს შეუდგათ ერთმანეთში მოლაპარაკება. მათმა მხარემ მოსთხოვა ჩემს მხარეს, რომ ამ უკანასკნელთ იმისთანა საბუთები წარმოედგინათ, რომლებიც საჭიროა

*) იხ. «ცნ. ფურც.» № 638.

საეკკლესიო მთავრობისთვის ამაზე მამაჩემმა და ალაბეგოვმა უპასუხეს, რომ ეს შეუძლებელია, რადგანაც მათი დანიშნულება არის, რომ „მთელი საქმე სინიდისით და ყოველის გრძნობით უნდა გაათავონ უფრო ნამეტნავად შესახებ თავად ვაჩნაძისა“. იმისთანა საბუთები, რომელსაც იგინი თხოულობენ, იგი შეეხება მხოლოდ სასამართლოს და სასულიერო კონსისტორიას. თავ. თუმანიშვილმა და ბ-ნ ბერშოვმა უპასუხეს, რომ მათ ამ საქმის გათავება უთავადოდ არ შეუძლიანთ, რისთვისაც საჭიროა ამ უკანასკნელს შეელაპარაკონ და მხოლოდ მაშინ მისცემენ მათ პასუხს წერილით. მართლაც-და აი როგორი წერილი მოუვიდათ: „მოწყალეო ხელმწიფევ! ყველაფერი კარგად ავსწონ-დავსწონეთ და თავ. ვაჩნაძემ ის დასკვნა გამოიყვანა, რომ მას, ვაჩნაძეს, მიზეზი არა აქვს ბრძოლისა და არ იბრძოლებს იმ დრომდის, ვიდრე მთელი საქმე არ გამოაშკარავდება და ვიდრე მიზეზი მათ შორის შეჯახებისა არ გამოირკვევა“. ამაზე ხელს აწერდნენ თავ. თუმანიშვილი და ა ბერშოვი. ამას უნდა დავუმატოთ ისა, რომ ვიდრე მამაჩემი ბათომიდან ამოვიდოდა, შტაბს კაპიტანი ალაბეგოვი იყო თავ. ვაჩნაძესთან და ახირებით ამბობდა, რომ მან ყველაფერი იცის; მეც ჩემი პირობები მივეცი. ამის შემდეგ რაღა დამრჩა, ველარ გადავუხადე შურისძიება თავ. ვაჩნაძეს და ამისათვის სამსახურს თავი გავანებე (вышелъ изъ занятъ артилеріи) და დავიწყე ჩემთვის უფრო თავისუფლად მასთან ბრძოლა.

კ. ერგნელი

(შემდეგი იქნება)

## თეატრის მატიანე

**ს. აკეთი.** ქართული წარმოდგენა. კვირას, 20 სექტემბერს ს. აკეთს ეწვია ოზურგეთის სცენის მოყვარეთა ამხანაგობა, რომელსაც განაგებდა ბ. ფ. უწყინარიძე. წარმოდგენილ იქმნა საქველ-მოქმედო მიზნით I „შეშლილის წერილები“, )გოგოლიდან) II „ავაზაკები“, (შილერიდან) III „მონადირე“ და IV „ბნელ ოთახში“. სიმართლე უნდა ვაღიაროთ, რომ ოზურგეთის სცენის სახელით მონათლულმა ამ ახლად შემდგარმა ამხანაგობამ ვერ ისახელა თავი: მომქმედ პირებს უფერულობა ეტყობოდა, სოფლებში „მონადირე“ ბევრჯერ დაუდგამთ და ყოველთვის უკეთესად. „შეშლილის წერილებში„ კი კარგი იყო ბ. ვ. უწყინარიძე. დასასრულ დივერტისმენტში გრძნობიერად წაიკითხა ბ. თავართქილაძემ ჯაყელისა და სილოვანის ლექსები. შემოსავალი იყო ცამეტ მანეთამდე, ასე რომ ხარჯს კი დაფარავდა.

მაყურებელი

### ყურმოკრული საუბარი

ერთი მეგობარი კითხავს მეორეს:

— სად სადილობ?

— არსად.

— შენ სადღა სადილობ,—ეკითხება მესამეს.

— მეც მაგასთან ვსადილობ.

## დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

24 სექტემბერი

**პეკინი.** ქალაქში მშვიდობიანობაა. ცუნგ-ლი-იამენმა ბოდიში მოიხადა ამას წინად მომხდარ არეულობის გამო. წეს-რიგის დასაცველად პეკინში რამდენიმე რაზმი მოვიდა. ახალი არეულობა არ მომხდარა. იმ ადგილას, სადაც ევროპიელები შეურაცხყვეს, რვა დამნაშავეთაგანი დააყენეს, რომ ყველამ დაინახოს.

**პარიზი.** გაზეთი „Matin“-ი სწერს, რომ თუ ინგლისმა ფაშოდას შესახებ მოლაპარაკებამდი მოითხოვა, მარშანი გაიწვიეთო, საფრანგეთის მთავრობა უარს შეუთვლისო.

**პარიზი.** ნავთ-სადგურებში მოსამსახურეთა უმეტესმა ნაწილმა მუშაობა აღკვეთა, ასევე მოიქცნენ ქვის მთლელნი, როდესაც შეთქმულთ გრენელლისა და პასსის უბნებში რამდენიმე სახლი გაძარცვეს, დაბარებულ იქმნენ დრაგუნები და კირასირები სარესპუბლიკო დარაჯის მისაშველებლად.

**ბერლინი.** სამხედრო გემი „Kaiserin Augusta“. კიაო-ჩაუდგან ტაკუში წავიდა გერმანიის ინტერესების დასაცველად. წავიდა ერთი აფიცერი და 30 ზღვაოსანი, ტაკუში გადასასვლელად. ეს რაზმი პეკინში მყოფი გერმანიის მისსია მოითხოვს.


## განცხადებანი

მხატვარი

**გ. გაბაშვილი**

**გაკვეთილებს აძლევს** კავკასიის სამხატვრო საზოგადოების დარბაზში, გრიბოედოვის ქ. № 5. მსურველთ ადრევე უნდა ჩაეწერნენ.

(10—5)

ახლად გახსნილი

# სტამბა „ცნობის ფურცლისა“

ტფილისი, სასახლის ქ., სათავად-აზნაურო ქარვასლაში №№ 119 120 და 121

✦✦ სტამბა ყოველისფრით სავსე და მოწყობილია ✦✦

ყოველგვარი საქმე სრულდება სწრაფად. სუფთად და იაფად.

სტამბა ასრულებს აგრეთვე პროვინციის მცხოვრებთა შეკვეთას, მსურველნი მიჰმართავენ სტამბას, რომელიც კისრულობს ხელ-ნაწერების აწყობას, დაბეჭდვას, ქაღალდის ყიდვას, კორექტურას, ენის შესწორებას, საცენზუროდან ნება-რთვის აღებას და სხ.

ჰბეჭდავს სავიზიტო ბარათებს სხვა-და-სხვა გვარ ქაღალდზე ვაჟებისა და ქალებისათვის იაფად და შნოიანად.

**ВОВНОВЬ ОТКРЫТОЙ**

# ТИПОГРАФІИ

## „Цнобисъ Пурцели“

В. Л. ГУНІА

Тифлисъ, Дворц. ул., д. Грузинскаго Дворянства.

Исполняются всевозможные заказы на всѣхъ Туземныхъ и Европеискихъ языкахъ

**Дешевизна, изящество и быстрота исполненія**

# ურბენი L'urbain

საზოგადოება, რომელიც აზღვევს თანხებს, მზითვებს, შემოსავლებს და სხვა. შეღავათიანის პირობებით ავადმყოფობისა თუ შეუძლებლობის დროსათვის.

დაზღვეულთ მონაწილეობა ეძლევათ მოგებაში დაზღვევის პირველ წლიდანვე.

კონტორა ამიერ-კავკასიისა, ამიერ-კასპიისა, თურქესტანისა და ბუხარის მხრისათვის იმყოფება **ტფილისში,** მიხეილის ქ. № 9, პოპოვის სახლი. ტელეფონი № 543.

მთავარი რწმუნებული ბაგრატ გერასიმეს ძე ტერ-მათეუზოვი ინსპექტორი ნიკოლოზ გერასიმეს ძე ტერ-მათეუზოვი.

ცნობანი და ბარათები ყველას მიეცემა აგენტებისაგან მთელს რუსეთის იმპერიის ქალაქებში.

Контора страховаго общ. **„УРБЭНЪ“**

Тифлисъ, Михайловская № 9, д. Попова. Телефонъ № 543.

(50—42)

# КУРСЪ БУХГАЛТЕРІИ,

состоящій изъ слѣдующихъ предметовъ:

1) **Бухгалтеріи** двойгой итальянской по разнымъ отраслямъ тортовой промышленности,
2) **Коммерческой ариѳметики** (банковыя и торговыя операціи),
3) **Ариѳметики на счетахъ.**
4) **Коммерческой экономіи,**
5) **Торговыхъ и вексельныхъ** узаконеній.

препомдаетъ **И. Я. БРОНЪ ФОНЪ-БРЕННЕРЪ, гл. бухгалтеръ общ. взаимн. сел. хоз. кредита и препод. школы садоводства.**

## Плата за весь курсъ 60 руб.

**Курсъ 3-мѣсячный,** при ежедневныхъ занятіяхъ въ теченіе 2-хъ часовъ, по вечерамъ. Начало занятій—1-е число каждаго мѣсяца.

**Аттестаты за успѣшныя занятія отъ реальнаго училища и школы садоводства.**

Составленная И. Я. Бронъ фонъ-Бреннеръ книга «Коммерческая ариѳметика» содержитъ въ себѣ VII отдѣловъ: 1) ариѳметич. вычисленія на счетахъ- 2) монетныя вычисленія, 3)товарныя сдѣлки, 4) вексельныя операціи, 5) тор, говыя товарищества, 6) банки и ихъ операціи, 7) биржевыя операціи (520 задачъ и таблицы). Цѣна 2 руб. **Продается во всѣхъ книжныхъ магазинахъ и у автора: Михайловская ул., № 71, и Барятинская, сельско-хоз. банкъ.**

(100—47)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 25 Сентября 1898 г. სტ. „ცნ. ფურც.“ (ვ. გუნიასი), რედაქტორ-გამომცემელი **ვ. გუნია**